# სახალხო ფურცელი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 480

დამატების № 86

კვირა, 17 იანვარი 1916 წ.


137/3 № 2804



წმინდა ნინო.

ესკიზი მოსე თოიძისა.

## გლარჯის მილი

ნუ სწევ თუთუნს! ნუ სწევ! ნუ სწევ! აბა რად გსურს ააბოლო?
ვეჰვიანობ. და შენს მგოსანს მომელება ეჰვით ბოლო.

როცა ქალი დივანზე ზის, ზის ჩანაფიქრ-ჩაღვრემილი,
როცა პირში უკავია სუნოვანი გლარჯის მილი,
როცა თვალი მუქად უჩანს, როცა ლოყა უჩანს ბაცად,
როცა ფეხი ფეხზე უძევს კაცის თვალის მოსატაცად,—
და სწევს თუთუნს ხამუშ-ხამუშ და სვამს ორთქლსა დაყოვნებით,
და სწევს ნაგრძნობ-ნაფაზითა... სწევს გიჟურად,.. ჟინით... ვნებით...
მაშინ გულში ვებრძვი ჩემს იჭვს, ვცემ ნაღარას, ვცემ ყიჟინსა,
ვამბობ: სჩანს მკვლის, რომ ჩემს ნაცვლად ამ თუთუნზე იკლავს ჟინსა!

ნუ სწევ თუთუნს! ნუ სწევ! ნუ სწევ! აბა რად გსურს ააბოლო?
ვეჰვიანობ. და შენს მგოსანს მომელება ეჰვით ბოლო.

ი. გრიშაშვილი.

## სტრიქონები

(დახეულ ალბომიდან)

ახალგაზრდობა მაისის დღეა,
გრძნობის ვარდებით შემოქარგული;
თვით ცხოვრება კი შის ჯადო წრეა
და ზედ ეკლები არის დარგული!
ლამაზი სახე, ფერადი სიტყვა—
მაცდური არის ვით მავნე გველი
თუ ლამაზსავე გულს არ ეკუთვნის
და თან არ ახლავს მას გრძნობა წრფელი!
ბედი კიბეა—მის საფეხურზე
გული გულს ეძებს და ნებას-ნება,
ზოგი თუ სწვდება თვის ძიების მზეს,
ზოგიც ძებნაში უმიზნოდ ჰკვდება!..

და ნეტა იმას ვინც ბედის ცვლაში,
საუკუნეებს იპოვის წამით;
ან ეღირსება ლამაზ სიყვარულს
და ან მოჰკვდება ლამაზის შხამით!..

ს. ფაშალიშვილი.

# კულტურული საზოგადოებათა კავშირის დაარსების გამო



ქართველ ქალთა საქველმოქ. საზ. თავმჯ.
**ეკ. გაბაშვილი.**



ქ. შ. წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების თავმჯდომარე
**გიორგი ყაზბეგი.**



„განათლების“ საზ. თავმჯ.
**ანასტ. თუმანიშვილი-წერეთლისა.**



გორის საზ. „მანდილოსანის“ თავმჯ.
**ანასტ. ერისთავი-ხოშტარიასი.**



საქვ. საზოგ. თავმჯ.
**მიხ. მაჩაბელი.**



ტფილ. ქართ. ქალთა საზ. თავმჯ.
**დომინიკა ერისთავი-მდივნისა.**



სასოფ. სამ. საზ. თავმჯ.
**დიმიტრი ჩოლოყაშვილი.**



საქ. საისტ. საეთ. საზ. თავმჯ.
**ექ. თაყაიშვილი.**



ფილარ. საზ. თავმჯ.
**გ. თულაშვილი.**



უთაისის საზ. „სინათლის“ თავმჯ.
კ. აბაშიძე.



ქუთ. დრამ. საზოგ. თავმჯ.
ალ. კრინიცკი.



სახ. სახ. არსებულ დრამატ. წრის თავმჯ. გიორგი ცინცაძე.



კულტ. მოყვ. საზ. თავმჯ.
გ. ჟორდანია.

# ალბომში

მე რომ ვიყო ზეციერი
ღმერთი, ყოვლის შემძლებელი,
რომ შემეძლოს შექმნა მისი,
რაც-კი ქვეყნად არის ძნელი;

შენ აღგირჩევ ქალთა მეფად,
თავს გვირგვინით დაგიმშვენებ,
სამუდამო სამყოფელად
აქვე ედემს გაგიშენებ.

მუნ ავაგებ სრა-პალატას
თვალ-მარგალიტ-ფირუზისას,
შემოვჭედავ ვარსკვლავებით,
შიგ ჩავაქსოვ სხივებს მზისას.

იქ მოგირთავ სამეფო ტახტს,
მასზე დაგსვამ გვირგვინოსანს,
ფაქიზთ ფეხთა დასაყრდნობლად
მოგიგორებ მზეს სხივოსანს.

გარს მცველებლად შემოგახვევ
ანგელოსთ გუნდს ჰაეროსანს,
მარად შენდა მოსალხენად
ავამღერებ არ-ერთ მგოსანს.

საქართველოს მნათობ ვარსკვლავს,
სულ-მნათ შოთას, მგოსანთ-მგოსანს
გვერდს მოგისვამ გამართობლად
ტკბილ-მოუბარს, ტკბილ-ჩანგოსანს.

მოგანიჭებ ზეცით ძლევას
და მხნეობას თამარისას,
ქვეყნის სვე-ბედს შენ მოგანდობ,
დაგიმონებ გმირებს მტრისას.

მე რომ ვიყო ზეციერი,
ძლიერება მქონდეს მისი,
რომელს არ აქვს დასასრული,
არც ჰქონია დასაწყისი;

მაშინაც-კი ქედ-მოხრილი
შენად მონად თავს დავთვლიდი,
ჩემს უსაზღვრო ძლიერებას
ფიანდაზად გაგიშლიდი...

მაგრამ როგორც მიწიერი
ვერ მივაღწევ ვიცი სურვილს
და სჯობს ფრთები შევაკვეცო
უიმედო გულის წყურვილს.

**რუს-იმერელი.**

# ორი დასკვნა

**(ცხოვრების ნამცეცი)**

1

. . . რანაირად ვიტანჯებოდი, რანაირად ჰირის ოფლი მასხავდა, როდესაც თებროს წინ წავსდექი და....

— აჰუ... აჰუ!.. აჰუ!..—ჰყეფდა, სწორედ ჰყეფდა თებრო!..

მეც ენა მუცელში ჩამივარდა. წინადვე გამზადებული სამძიმრის სიტყვები სადღაც შემომეფანტა და უსაზღვრო მწუხარებამ შემიპყრო...

— აჰუ... აჰუ... აჰუ!..—წკავწკავებდა თებრო.

თმა გაშლილი თებრო ტახტზე მიეგდოთ. მართლაც მიეგდოთ რადგანაც იმას განძრევის უნარიც აღარ ეტყობოდა, მხოლოდ ყეფა-წკავწკავი-ღა ამხელდა იმის სულის კვეთებას, იმის ვაებას!.. თავით დედამთილი ეჯდა.

მთლად ჩაფერფლილი იყო, მაგრამ მაინც ამაგრებდა და ანუგეშებდა თავის რძალს...

ვერ შევძელ ამ მძიმე სურათის მზერა. როგორღაც გავიპარე გვერდით ოთახში, სადაც ჩემი მეგობარი დათა კუბოში ესვენა...

— ნეტავი შენ, ჩემო დათა!..—გადავხედე თუ არა იმის სანთლის შუქზე მოციმციმე გაფითრებულს სახეს—ნეტავი შენ, რომ შენს სამარეს გაალხვობს თებროს დიადი გრძნობა!.. მე-კი ეჰ!

შევსწყვიტე ჩემ თავზე ფიქრი, რადგანაც სულ მეტი იყო. ჩემი თავი ცუდ გრძნობით, შურით, შეპყრობილი ვცანი და მაშინვე განდევნე ეს გრძნობა. დავაშტერდი დათას სახეს და, თითქოს გაიგო ჩემი ცუდი გრძნობა, მწარე ღიმილი გაუკრთა ტუჩებზე... შემრცხვა და კარების გვერდით, დარცხვენილი, ჩავჯექი სავარძელში...

2

— მკერავმა მოიტანა სამგლოვიარო კაბა!—შემომესმა ამ დროს გოგოს ხმა იმ ოთახიდან, სადაც თებრო ისე მიმკვდარებული გდია...

— ღმერთო, ეს რა ამბავია?!.. სიზმარში ხომ არა ვარ?!.. არა... არა მძინავს!.. აი, დათა კუბოში ასვენია... ეს კიდევ თებროს ხმა... ჰყეფს—წკავწკავებს-კი არა, წიკვინებს: „ეს რა უბედურებაა?!.. რავა ვერ მოახერხე რიგიანად გაწყობა!!.. უი, უი, რას ვემგზავსები!..

— შვილო, რა უჭირს, რა დროს ტანზე გაწყობაა?!..—ტკბილად ეუბნებოდა დათას დედა.

— შენ რა გეყურება, ბებერო, რო...

ჩემ ყურებს არ დავუჯერე. სწრაფად ფეხზე წამოვიჭერ და კარებიდან შევიხედე...

— გინდათ, მასხარა ვიყო?!..—წიკვინებდა თებრო და თან სარკის წინ ციბრუტივით ტრიალებდა.

იმავე წამს გადავხედე დათას და გულ დაკოდილმა, თითქმის ტირილით წამოვიკვნესე:

— „ჩემო დათა, სჯობს უკან არავითარი გრძნობა მომდევდეს, ვიდრე...“

— როგორ?.. რატომ მაგრე მრისხანედ მიყურებ?! წელანდელი ღიმილი?!.. მშვიდობით!..

გამოვექეცი. დასაფლავებაზე არ წავსულვარ.

**შ. არაგვისპირელი.**



პოდპოლკოვნიკი თავ. მიქელაძე
(მოკლულია).



პოდპორ. კანბულატ-ბეგ სულტანოვი
(მოკლულია).



პორ. სამსონ გვარჯალაძე
(მოკლულია).



პრაპ. ივანე მალალაშვილი
(მოკლულია).



ბიქტორ [illegible]უსერიძე
(დატყვევებულია).



შაქრო მწერაძე
(დატყვევებულია).



მსახიობი ქალი ელ. ჩერქეზიშვილი იუბილიარის როლში.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან. ტფილისი, მუხრანის ქუჩ. სტამბა „შრომა". რედაქტორ-გამომცემელი დ. ჯორჯაძე.